ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1931 წლის ოქტომბრის 15.	№ 19 განყოფილება პირველი	ა/კსფსრ სახალ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის მიერ გამოცემული.

შინაარსი:

დადგენილება. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

მუხ 217. მოსავლის აღების კამპანიის პერიოდში ტეხნიკური კულტურების დიდრონ კოლექტიურ მეურნეობებში საბავშვო დაწესებულებათა მოწყობის შესახებ.

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოისი.

„ 218. ამიერკავკასიის საბინაო კოოპერაციის „კავშირის წესდების“ დამტკიცების შესახებ.

„ 219. მშენებლობის ტეხნიკურ-ეკონომიური რეგულირებისა და ნორმირების ფუნქციებისაგან ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის განთავისუფლების შესახებ.

„ 220. ელექტრო და თბო-მომარაგების საწარმოთა ანგარიშების გასწორების ვადის გადაცილებისათვის არსებული საურავის როოდენობის შესახებ.

„ 221. სამთო მრეწველობაში შრომის დაცვის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ.

„ 222. მუშათა დაბებისა, საერთო საცხოვრებლებისა და საზოგადოებრივი კვების დახურული და ღია დაწესებულებების ანტისანიტარულ მდგომარეობასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

„ 223. ბამბის 1931 წლის სარეალიზაციო კამპანიის პერიოდში ბამბის მთესველებისათვის ავანსების დაპვრის წესისა და რაოდენობის შესახებ.

„ 224. ა/კსფსრ ტერიტორიაზე მომქმედი ყველა საერთო-საკავშირო და ფედერატიული სამშენებლო ორგანიზაციის მოვალეობის შესახებ—წარუდგენოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიას სამშენებლო კადრების მომზადების გეგმის შესადგენად საჭირო მასალები.

„ 225. 1931 წ./ბამბის მოსავლის აღების კამპანიისათვის საჭირო დამატებითი ღონისძიებების შესახებ.

„ 226. საკოლმეურნეო სისტემის ხილეულ-ბოსტნეულის ვაჭრობის გაშლის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

„ 227. ნედლი ბამბის მიღებისა და გადამუშავებისათვის შემსყიდველი პუნქტების და ბამბსაწმენდი ქარხნების განმზადების შესახებ.

„ 228. საანის-ხარშვის 1931 წ. პროგრამისა და საანის-ხარშვის მრეწველობის ნედლეულით უზრუნველყოფიის ღონისძიებათა თათბაზე გამოცემული სსრკ-ის შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1931 წ. მაისის 17-ის დადგენილების აღსრულების შესახებ.

„ 229. სავეტერინარო საქმისა და ეპიზოოტიებთან ბრძოლის მდგომარეობის საქმის შესახებ.

დადგენილება ამერიკაკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

217. მოსავლის აღებას კამპანიის პერიოდში ტეხნიკური კულტურების დიდრონ კოლექტიურ მეურნეობებში საბავშვო დაწესებულებათა მოწყობის შესახებ.

მოისმინა-რა ამერკავასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული ქალთა შრომის და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების კომიტეტის პასუხისმგებელი მდივნის ამხ. ვ. ხეიზუმიანის ცნობა—მოსავლის აღების პერიოდში ტეხნიკური კულტურების დიდრონ კოლექტიურ მეურნეობებში საბავშვო დაწესებულებათა მოწყობის საკითხების გამო გამართული რესპუბლიკანური შტაბების წარმომადგენელთა თათბირების შედეგის შესახებ, ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მთელი რიგი ამერკავკასიისა და რესპუბლიკანური უწყებანი და საწარმონი შეუუწყნარებლად მოეკიდნენ ზემოაღნიშნული დაწესებულებების მოწყობის საკითხებს. კერძოდ,—ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატმა და ამერკავკასიის სამომმარგებლო კოოპერაციის კავშირმა არაუზრუნველჰყვეს საბავშვო დაწესებულებების მოწყობის საქმე სამეურნეო მომარაგების საქარო ფონდით და ბავშვთა კვების პროდუქტებით. „ზაკტექსტილ“-მა თვალსაჩინოდ შეამცირა რესპუბლიკების განცხადებანი რბილეული გაწყობილობის შესახებ და ფონდი დაგვიანებით გამოჰყო (აზერბაიჯანის სსრ სექტემბრის ბოლოს მიიღო). ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრმა არასაკმარისად მუშაობის ხელმძღვანელობა ადგილებზე; არასრულად და არათავის დროზე განასისგნა მან საბავშვო დაწესებულებათა მოწყობისთვის სახელმწიფო ბიუჯეტით დანიშნული სახსარი.

აზერბაიჯანის სსრ-ისა და საქართველოს სსრ-ის საკოლმეურნეო ცენტრები ფაქტიურად აბრკოლებდნენ შტაბების მუშაობას თავის დროზე სახსარის მიუცემლობით, კურსებზე კოლმეურნე-ქალთაგან კურსანტ-ქალების თავის დროზე მოუგზავნელობით, ბავშვთა კვებისთვის საჭირო სახსარის სამობილიზაციოდ მუშაობის ჩაუტარებლობით და სხვა მისთან.

„საქართველოს ჩაი“-ს საქკეო სახოგადოებამ, „სოიუზტაბაკ“-მა, „ნოელუბტრესტ“-მა და „ბავშვთა მეგობრის“ აზერბაიჯანის საზოგადოებამ არ შე-

ასრულეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება და აქამდე არ გამოჭკვეს ამ მიზნისათვის საჭირო სახსარი.

სუსტად იყო დაყენებული პრესსაში (გაზ. „კომუნისტი“-ს გარდა) საბავშვო დაწესებულებათა მოწყობის საქმის მსჯელობის გაშუქება.

ზემოხსენებულ გარემოებათა შედეგად, მიუხედავად მთელი რიგი ღონისძიებებისა, რაც რესპუბლიკანურმა შტაბებმა იხმარეს (აზერბაიჯანის სსრ და საქართველოს სსრ-ში—გეგმების დამუშავება, ამხანაგების მობილიზაცია გეგმის დაბალ ფენამდე მიღწევინებისათვის მუშაობის საწარმოებლად, სადეკადო კურსების თავის დროზე მოწყობა კოლმეურნე-ქალთა მოსამზადებლად საბავშვო დაწესებულებების მომსახურეობისათვის საქართველოს სსრ-ში, მაშინ, როდესაც ამ კურსების მოწყობა აზერბაიჯანის სსრ-ში თვალსაჩინოდ დაგვიანდა), მაინც საბავშვო დაწესებულებათა მოწყობის საქმე ფაქტიურად ჩაიშალა (ა/წ. ოქტომბრის 1-თვის საქართველოს სსრ-ში მოწყობილია 131 საბავშვო ბაგა, 450-ის ნაცვლად, ხოლო აზერბაიჯანის სსრ-ში რბილეული ინვენტარით უზრუნველყოფილია მხოლოდ 100 ბაგა, 350-ის ნაცვლად.

აღნიშნული დეფექტების გამოსასწორებლად და მოსავლის აღების კამპანიის პერიოდში ტეხნიკური კულტურების დიდრონ კოლექტიურ მეურნეობებში საბავშვო დაწესებულებების მოწყობისათვის საჭირო ღონისძიებათა განსახორციელებლად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი წინადადებას აძლევს:

1. ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს, ამიერკავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირს და „ტექსტილი“-ის ამიერკავკასიის სამხარეო კონტორას, ამხანაგთა სვანიძისა, ბუკრეევისა და ივანე მელიქოვის პირადი პასუხისმგებლობით,—შესასრულონ, არა უგვიანეს ა/წ. ოქტომბრის 10-სა, რესპუბლიკების ყველა განაცხადი საბავშვო დაწესებულებათა მოწყობის თაობაზე და სავსებით უზრუნველჰყონ ეს დაწესებულებანი ბავშვთა კვების საგნებით.

2. ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრს—გააძლიეროს ოპერატიული ხელმძღვანელობა ბავშვთა გამოსაკვებად საკოლმეურნეო სახსარის მობილიზაციისათვის.

3. „საქართველოს ჩაი“-ს საკვები საზოგადოებას, „სოიუზტაბაკ“-ს, „ნოვლუბტრესტ“-ს და „ბავშვთა მეგობრის“ აზერბაიჯანის სსრ საზოგადოებას—გასცენ ა/წ. ოქტომბრის 10-დე დამატებითი სახსარი საბავშვო დაწესებულებათა მოსაწყობად, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ა/წ. სექტემბრის 1-ის დადგენილების თანახმად.

4. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუსლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—გამოსძებნონ დამატებითი სახსარი საბავშვო დაწესებულებათა მოწყობის საქმის სავსებით უზრუნველეყოფისათვის.

5. ამიერკავკასიის რკინის გზების დირექციას და „სოიუზტრანს“-ს—მოახდინონ სასწრაფო განკარგულება, რათა საბავშვო დაწესებულებათა გაწყობილობა და ბავშვთა კვების საგნები პირველ რიგში გადაზიდულ იქნეს ადგილებზე.

6. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების განთლების და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებს—თვალყური ადევნონ საბავშვო დაწესებულებათა წესიერ ხელმძღვანაღობას და მოწყობას.

7. აღინიშნოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საკოლეგიურნეო ცენტრების საყურადღებოდ, რომ მათ დააბრკოლეს შტაბების მუშაობა.

8. აღინიშნოს სომხეთში საბავშვო დაწესებულებების მომწყობი შტაბის საყურადღებოდ მისი გამოუცხადებლობა 1931 წ. ოქტომბრის 2-ს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების კომიტეტში გამართულ თათბირზე და გამოეცხადოს სასტიკი საყვედური ამიერკავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირისა და ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატის მომარაგების განყოფილებათა გამგეებს.

9. საპროდ იქნეს ცნობილი საბავშვო დაწესებულებათა მოწყობის მსვლელობის ფართო და სისტემატიური გაშუქება პრესსაში.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ა. ანანიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1931 წ. ოქტომბრის 8
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 279 №-ში 1931 წ. ოქტომბრის 10-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

218. ამიერკავკასიის საბინაო კოოპერაციის კავშირის წესდების დამტკიცების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ამიერკავკასიის საბინაო კოოპერაციის კავშირის წესდება.

2. გაუქმებულ იქნეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. მარტის 4-ის დადგენილება „ამიერკავკასიის საბინაო კოოპერაციის კავშირის დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ" (ა/კსფსრ კან. კრ. 1931 წ. მე-6 №-ი, მუხ. 61).

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1931 წ. ოქტომბრის 1.
№ 415.
ტფილისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

10. წინადადება მიეცეს კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს, ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და მომარაგების სახალხო კომისარიატს—შეიმუშაონ, თვითეულმა თავისი ხაზით, და წარმოუდგინონ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს პროექტების განხილვისა და დამტკიცების წესები—არსებული წესების გასაუმჯობესებლად.

11. ვიდრე ეს წესები გამოიცემოდეს, სამშენებლო კონტროლის მოსაწყობად პროექტების ექსპერტიზისათვის დაწესებული ნორმები (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-6 №, მუხ. 77) დროებით გავრცელებულ იქნეს ა/კსფსრ კომუნალური მეურნ. სახ. კომისარიატისა, ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატის ტეხნიკურ-ეკონომიურ საბჭოებზე. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოების სამეცნიერო-სატეხნიკო საბჭოების საექსპლოატაციო პროექტების გამოსაღების ნორმები დროებით დატოვებულ იქნეს ისეთი რაოდენობით, რაც დადგენილია ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ბრძანებით.

12. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—განახორციელონ ტეხნიკურ-ეკონომიური რეგულირების ორგანოების რეორგანიზაცია ამა დადგენილების შესაბამისად.

13. გაუქმებულ იქნეს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის სამშენებლო სექტორის დებულება (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-12 №-ი, მუხ. 134).

14. დაევალოს ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციას, ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან, ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატთან, ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან და ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან ერთად, წარმოუდგინოს ერთი თვის ვადაზე ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად პროექტი დადგენილებისა—ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის სამშენებლო კონტროლის სამმართველოს ლიკვიდაციისა და აღნიშნული კონტროლის რეორგანიზაციის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მართველი **ა. შავერდოვი.**

1931 წ. ოქტომბრის 1.

№ 416.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

220. ელექტრო და თბო-მომარაგების საწარმოთა ანგარიშების გასწორების ვადის გადაცილებისათვის არსებული საურავის რაოდენობის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„ელექტრო და თბო-ენერგიის ანგარიშის გასწორების ვადების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აგვისტოს 16-ის დადგენილების მე-4 მუხლის შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1931 წ. 53 №-ი, მუხ. 344) ელექტრო და თბო-მომარაგების საწარმოთა ანგარიშების გასწორების ვადაზე თვითეული გადაცდენილი დღისთვის, დაწყებული ანგარიშის წარდგენის მეექვსე დღიდან დავალიანების ფაქტიურ დაფარვის დღემდე, დაწესებულ იქნეს საურავი ანგარიშში აღნიშნული თანხის 0,2%-ის რაოდენობით.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის მოვალ. აღმ. თ. მელნიკოვი.

1931 წ. ოქტომბრის 7.
№ 402.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

221. სამთო მრეწველობაში შრომის დაცვის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს ყველა სამრეწველო საწარმოს—შეასრულოს ვადაზე მის მიერ სამთო-სამრეწველო საწარმოთაგან მიღებული შეკვეთა, რაც ეხება უშიშროების ტეხნიკისა და სამრეწველო სანიტარიის ღონისძიებათ.

2. დაევალოს ყველა მომმარაგებელ ორგანიზაციას—უზრუნველჰყოს პირველ რიგში სამთო მრეწველობის საჭიროებანი უშიშროების ტეხნიკისა და სამრეწველო სანიტარიის გაწყობილობის საგნებით.

3. დაევალოს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მოაწყოს 1931 წ. ნოემბრის 1-ვის ტყიბულისა და ტყვარჩელის ქვანახშირის მაღაროებთან

სპეციალური ლაბარატორიები ჰაერის ანალიზისათვის მავნე და საშიში გაზების შემცველობის გამოსარკვევად.

4. დაეკალოს სამრეწველო საწარმოთა სამეურნეო ორგანიზებს—განახორციელონ ღონისძიებანი შრომის დაცვისათვის სამუშაოთა უშიშროების წესების შესაბამისად, რისთვისაც საჭირო არ არის, რომ მოუცადონ სამთო-სატეხნიკო ინსპექციის ფორმალურ მოთხოვნას შახტებში სამუშაოთა რეჟიმის შეცვლის შესახებ.

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს—უზრუნველყოს შრომის სახალხო კომისარიატების სამთო-სატეხნიკო ინსპექციის კონტროლი სამეურნეო ორგანიზების მიერ უშიშროების ტეხნიკისა და სამრეწველო სანიტარიის ყველა ღონისძიების განხორციელებისათვის.

5. დაეკალოს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მოაგვაროს საესებით 1932 წ. იანვრის 1-თვის ტყიბულისა და ტყვარჩელის ქვანახშირის მაღაროების სამთო-სამხსნელო სადგურების მდგომარეობა, აგრეთვე ალავერდისა და ზანგეზურის სამთო-სამხსნელო პუნქტების მდგომარეობა, თანაზმად სსრკ-ის შრომის სახალხო კომისარიატის მიერ 1930 წ. მარტის 28-ს დამტკიცებული ღებულებისა ამ პუნქტების შესახებ.

6. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს:

ა) მოაწყოს ზემოაღნიშნულ სამადნოებში (ტყიბულისა და ტყვარჩელის ქვანახშირის მაღაროებში, აგრეთვე ალავერდისა და ზანგეზურის სპილენძის სამადნოებში), პროფესიონალური კავშირების ორგანიზაციებთან ერთად, სამთო-სამხსნელო საქმის მოხალისე-მხსნელთა შერჩევა სხვადასხვა პროფესიის მუშათაგან;

ბ) მოაწყოს სამთო-სამხსნელო საქმის მოხალისე-მხსნელთა პერიოდული სწავლება და პრაქტიკული მეცადინეობა შახტებში მუშაობის შემდეგ;

გ) მოაწყოს მიწის წიაღში მომუშავე ყველა მუშის სწავლება უბედური შემთხვევის დროს პირველი დახმარების აღმოჩენის მეთოდების შესათვისებლად და 1932 წ. განმავლობაში ასეთ სწავლებით მოცული უნდა იქნენ მიწის წიაღში მომუშავე მუშები—საერთოდ ყველა.

7. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს იხმაროს ღონისძიება, რათა ამა დადგენილების მე-5 მუხლში აღნიშნული სამთო-სამხსნელო სადგურებისა და პუნქტების გამგებლობისა და ხელმძღვანელობისათვის გამოყოფილ იქნენ, არა უგვიანეს 1931 წ. ნოემბრისა, სამთო-სამხსნელო საქმეში სტაჟის და განაათლების მქონე სპეციალური პირები.

8. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ—დაავალონ სათანადო რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებს:

ა) მიმდინარე წლის ოქტომბრის განმავლობაში დაამყარონ ყველა სამთო-სამრეწველო საწარმოსთან პირველი დახმარების პუნქტების დამატებითი ქსელი ისე, რომ პუნქტები დაახლოებული იყოს შახტებთან, და თანაც უზრუნველყონ ეს პუნქტები სათანადო კვალიფიკაციის პერსონალით; ეს ქსელი შეთანხმებულ უნდა იქნეს სათანადო რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებთან;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) 1932 წლის განმავლობაში უზრუნველჰყონ მიწის წიაღში მომუშაე ყველა მუშა სამედიცინო პაკეტებით და მედიკამენტებით, რაც საჭიროა პირველი დახმარების აღმოჩენისათვის; ამ პაკეტების ტიპი შეთანხმებულ უნდა იქნეს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან.

9. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და ა/კსფსრ შედგენილობაში შენავალი რესპუბლიკების მთავრობათ—გაამეიერონ ერთი კვარტალის ვადაზე უშიშროების ტეხნიკის ბიუროების შედგენილობა კვალიფიციური სპეციალისტებით და სამეურნეო ორგანიზაციებში უშიშროების ტეხნიკის გამგენი.

10. შრომის სახალხო კომისარიატების სამთო-სატეხნიკო ინსპექციების დასაკომპლექტებლად დაეგალოს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს—გადასცეს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის განკარგულებაში სპეციალისტების საჭირო რიცხვი უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულთაგან.

11. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს—დაიწყოს სასწავლო წლის (1931-32 წ.) დასაწყისიდან უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლებთან, კერძოდ—ამიერკავკასიის სამთო-სამეტალურგო ინსტიტუტთან, უშიშრობის ტეხნიკისა და სამრეწველო სანიტარიის სპეციალობანი.

ამიერკავკასიის სამთო-სამეტალურგო ინსტიტუტის 1932 წ. ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ იქნეს უშიშროების ტეხნიკისა და სამრეწველო სანიტარიის კაბინეტის ბოლომდე გაწყობისა და ამ კაბინეტთან ლაბორატორიის ორგანიზაციისათვის საჭირო სასსარი.

12. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს—მოაწყოს ყველა სამთო-სამრეწველო საწარმოსთან მეფალიეთა კადრების რეგულიარული მომზადება ამ თანამდებობაზე დასანიშნად.

13. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს მოაწყოს ორი თვის ვადაზე ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო კომისია ტრაკმატიზმთან და პროფესიონალურ დაავადებასთან ბრძოლისათვის, კერძოდ—სამთო მრეწველობაში, დაინტერესებული ორგანიზაციებისა და უწყებების მონაწილეობით.

14. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს, სათანადო პროფესიონალურ კავშირებთან ერთად, გაშალონ ფართო აღსნა-განმარტებითი მუშაობა უშიშროების ტეხნიკისა და სამთო-სამხსნელო საქმეში, განსაკუთრებით მოხალისე-მხსნელთა კომანდების შექმნისათვის.

15. ექვსი თვის შემდეგ მოსმენილ იქნეს ა/კსფსრ შრომის სახალო კომისარიატისა და ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მოხსენება ამა დადგენილების აღსრულების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისარია
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისარია
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1931 წ. ოქტომბრის 7.
№ 405.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

222. **მუშათა დაბებისა, საერთო საცხოვრებლებისა და საზოგადოებრივი კვების დახურული და ღია დაწესებულებების ანტისანიტარულ მდგომარეობასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს დაავალონ:

ა) რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებსა და სამეურნეო ორგანიზაციებს—დაუყოვნებლივ გაშალონ მუშამბა მუშათა დაბებისა, საერთო საცხოვრებლებისა და საზოგადოებრივი კვების დახურული და ღია დაწესებულებების ანტისანიტარული მდგომარეობის ლიკვიდაციისათვის, პირველ რიგში სამრეწველო ცენტრებში და საწარმოთა და ახალაშენებელთა ფარგლებში;

ბ) ჯანმრთელობის ორგანოებს—გამოჰყონ სასანიტარო ზედამხედველობის სპეციალური ინსპექტორები, რომელთა პასუხისმგებლობასაც უნდა დაეკისროს მუდამ დღე სისტემატიურად თვალყური ადევნონ აღნიშნულ დაწესებულებათა კულტურულ და სანიტარულ მდგომარეობას; მათ უფლება უნდა ჰქონდეთ—სასტიკ პასუხისგებაში მისცენ (ჯარიმის დადება, სასამართლოსათვის გადაცემა) ამ დაწესებულებათა ანტისანიტარული მდგომარეობის გამომწვევი დამნაშავეენი;

შენიშვნა. სასანიტარო ინსპექტორების მიერ დასადები ჯარიმის რაოდენობას—100 მანეთამდე—განსაზღვრავენ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები;

გ) რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებს,—სამეურნეო ორგანოებთან და პროფესინალურ ორგანიზაციებთან ერთად, მშრომელთა ფართო მასსების მონაწილეობით, შეუდგენენ იმ სანიტარული მინიმუმის განხორციელებას, რითაც გათვალისწინებულია საჭირო სასანიტარო ღონისძიებათა ჩატარება მუშათა დაბებში, საერთო საცხოვრებლებში და საზოგადოებრივი კვების დაწესებულებებში;

დ) რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებს,—დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად,—შეიმუშაონ დეტალურად თვითეული ობიექტისათვის ცალკე სანიტარული მინიმუმი და აგრეთვე პრაქტიკული ღონისძიებანი, რაც უზრუნველჰყოფს სანიტარული მინიმუმის განხორციელებას მუშათა დაბებში, საერთო საცხოვრებლებში, სასადილოებში და სხვ.

2. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის რკინის გზების საგზაო-სასანიტარო განყოფილებას—განახორციელოს ამა დადგენილების 1-ლი მუხლით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება.

3. დაეკალოს ყველა სახელმწიფო და სამეურნეო ორგანიზაციას—შეიტანოს 1932 წლის ბიუჯეტში ის ხარჯები, რაც საჭიროა სანიტარული მინიმუმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

განხორციელებისათვის მის ქვემდებარე დაწესებულებებში. ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატმა უნდა მიიღოს სათვალავში სანიტარული მინიმუმის განხორციელებისათვის საჭირო ხარჯები.

4. დაევალოს ყველა სახელმწიფო და სამეურნეო ორგანიზაციას—მუშათა დაბების პროექტირების დროს მიიღოს სათვალავში მუშებისათვის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობის გასაწევად საჭირო ყველა მოწყობილობა, სახელდობრ: წყლის მიწოდება, უსუფთაობისა და ნაგვის მოსპობა, აბანო, სამრეცხეელო, სადეზინფექციო კამერა, სასადილო, კლუბი, საფიზკულტურო მოწყობილობა, საბავშვო ბაგა, საბავშვო ბაღი, ბაქანი და სხვ.

5. მეთვალყურეობა მე-4 მუხლის აღსრულებისათვის დაეკისროს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატებს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1931 წ. ოქტომბრის 7.
№ 406.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

223. ბამბის 1931 წლის სარეალიზაციო კამპანიის პერიოდში ბამბის მთესველებისათვის ავანსების დაჭერის წესისა და რაოდენობის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ჩაბარებული ნედლი ბამბის რაოდენობისა და მომდინარე და გასული წლების ავანსებით ბამბის მთესველთა დავალიანების საერთო თანხისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისადმი დავალიანების შესაბამისად—დადგენილ იქნეს ავანსების დაჭერის შემდეგი წესი და რაოდენობა:

1. ჩაბარებული ნედლი ბამბისათვის ანგარიშის გასწორების დროს, პირველი ჩაბარებიდან დაწყებული, შემსყიდველი პუნქტები დაუჭერენ ყოველგვარი ავანსისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისადმი დავალიანების დასაფარავად ჩაბარებული ნედლი ბამბისათვის მისაცემი თანხიდან: კოლექტიურ მეურნეობას—50%-ს, ხოლო ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეობას—60%-ს.

ფულის დაკერა აღნიშნული რაოდენობით განგრძობილ უნდა იქნეს მთელი დავალიანების სავსებით დაფარვამდე.

2. უკეთუ კულაკურ და შეძლებულ მეურნეობაზე დავალიანება ირიცხება, იგი დაჭერილ უნდა იქნეს მთლიანად ნედლი ბამბის პირველ ჩაბარებისთანვე; ხოლო, უკეთუ ამ დაჭერილი ფულით მთელი დავალიანების თანხა დაფარული არ იქნა, ვალის ნაშთი გადახდევინებულ უნდა იქნეს დაუყოვნებლივ სასამართლო წესით, ნედლი ბამბის შემდგომი პარტიების ჩაბარების მოუცდელად.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1931 წ. ოქტომბრის 7.
№ 411.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 289 №-ი 1931 წ. ოქტომბრის 20-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

224. ა/კსფსრ ტერიტორიაზე მომქმედი ყველა საერთო-საკავშირო და ფედერატიული სამშენებლო ორგანიზაციის მოვალეობის შესახებ—წარუდგინოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიას სამშენებლო კადრების მომზადების გეგმის შესადგენად საჭირო მასალები.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაევალოს ა/კსფსრ ტერიტორიაზე მომქმედ ყველა საერთო-საკავშირო და ფედერატიულ სამშენებლო ორგანიზაციას—წარუდგინოს ხოლმე უშუალოდ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიას სამშენებლო კადრების კოორდინირებული გეგმის შესადგენად საჭირო მასალები.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1931 წ. ოქტომბრის 7.
№ 419.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

225. ბამბის 1931 წლის მოსავლის აღების კამპანიისათვის საჭირო დამატებითი ღონისძიებების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ბამბის მოსავლის აღებისა და ბამბის დამზადების კამპანიისათვის გასაწევი ხელმძღვანელობის გასაძლიერებლად და ამ კამპანიასთან დაკავშირებული ყველა ორგანიზაციის მოქმედების შესათანხმებლად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან მოწყობილ იქნეს ბამბის მოსავლის აღებისა და ბამბის დამზადების ამიერკავკასიის კომისია შემდეგი შედგენილობით: ამბ. ეგიაზარიანი (თავმჯდომარე), ვეზიროვი (თავმჯდომარის მოადგილე), ტოლსტოპიატოვი, ვარძიელი, კალანდია, პეცოვი, ბუკრეევი, აგრბა, ავისი, გეურქოვი და რაჰმოვი.

2. ბამბის ადრეულად მოწევასთან დაკავშირებით, „1931 წელს ბამბის მოკრეფის კამპანიის მოწყობისა და ჩატარების შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აგვისტოს 13-ის დადგენილების („ზარია ვოსტოკა“-ს 221 №-ი 1931 წ. აგვისტოს 13-ისა) მე-II თავის ნაწილობრივ შესაცვლელად—ნედლი ბამბის მოკრეფის გეგმა ა/კსფსრ-ში 1931 წ. ნოემბრის 1-თვის განსაზღვრულ იქნეს წლიური გეგმის 60—70%-ის რაოდენობით; აქედან აზერბაიჯანის სსრ-ში 70—80%-ის რაოდენობით.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ბამბის მოსავლის აღებისა და ბამბის დამზადების ამიერკავკასიის კომისიას—გაეაზუსტოს ბამბის მოკრეფის გეგმა რესპუბლიკანური და რაიონობითი ხაზით.

ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრმა და ა/კ. ტრაქტორცენტრმა უნდა გასცენ თავიანთი ხაზით დაწერილებითი დირექტივები ნედლი ბამბის მოკრეფისა და ჩაბარების სადეკადო გეგმების დაუყოვნებლივ გადასინჯვის შესახებ ცალკეული კოლექტიური მეურნეობებისა და დასახლებულობათა ამხანაგობების ხაზით.

4. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის რკინის გზების დირექციას, „სოიუზტრანს“-ს და სამდინარეო ტრანსპორტის ამიერკავკასიის სამმართველოს, ნედლი ბამბის მოკრეფის გეგმის შეცვლასთან დაკავშირებით, გადასინჯონ ნედლი ბამბის გადაზიდვის თავიანთი გეგმები და უზრუნველჰყონ ამ ბამბის თავის დროზე გადაზიდვა როგორც შესაფიდვის პუნქტებამდე, ისე ბამბა-საწმენდ ქარხნებამდე.

5. დაეგალოს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს და ამიერკავკასიის სამომმარებლო კოოპერაციის კავშირს—სასწრაფოდ შეზიდონ საბამბე რაიონებში შესაძლებელი რაოდენობის საჭიროებელი საქონელი, როგორც ადგილობრივი მრეწველობის პროდუქციისა, ისე ცენტრალიზებული მომარაგების ფონდებისა.

მიენდოს კომისიას პეცოვისა, ბუკრეევისა და ტოლსტოპიატოვის შედგენილობით—ერთი დღედღამის ვადაზე განსაზღვროს იმ საჭიროებელი საქონლის საერთო რაოდენობა, რაც შეიძლება გამოყოფილ იქნეს, და გაა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილონ იგი რაიონებზე; ამასთანავე, უზრუნველჰყოს საბჭოთა საბამბე მეურნეობების მინიმალური მოთხოვნილება სამრეწველო საქონლისადმი.

6. რადგანაც საფიქრო მრეწველობამ დაავეიანა რავენდუკის გამოგზავნა, საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა ბამბის მოსავლის აღების კამპანიის საჭიროებისათვის მზა-ტარა-ტომრები და სატომრე ქსოვილი ჩამოერთვას (თხოვების წესით) სხვა ორგანიზაციებს.

მიენდოს კომისიას ამხანაგთა პ ე ვ ც ო ვ ი ს ა, ბ უ კ რ ე ე ვ ი ს ა და ტ ო ლ ს ტ ო პ ი ა ტ ო ვ ი ს შედგენილობით—დაასახელოს ის ორგანიზაციები, რომელთაც შეიძლება ჩამოერთვას ტარა-ტომრები, და განსაზღვროს თვითეული ორგანიზაციისათვის ჩასაბარებელი ტარას რაოდენობა.

დაევალოს ამერიკავკასიის მებამბეობის შენაერთს, ცენტრიდან რავენდუკის მიღებისათანავე, დაუყოვნებლივ დაბრუნოს ჩამორთმეული ტარა-ტომრები.

7. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაავალონ საბამბე რაიონების აღმასრულებელ კომიტეტებს—ფართოდ გაშალონ მუშაობა ბამბის მოსავლის აღების კამპანიის საჭიროებისათვის გლეხთა მოსახლეობის ხელთქონებული ტარა-ტომრების გამოსაყენებლად ტომრების სათანადო საამორტიზაციო სასყიდლის მიცემით ამერიკავკასიის მებამბეობის შენაერთის ხარჯზე.

8. მიღებულ იქნეს ცნობად ამხ. ტ ო ლ ს ტ ო პ ი ა ტ ო ვ ი ს განცხადება, რომ ამერიკავკასიის მებამბეობის შენაერთი და სახელმწიფო ბანკის ამერიკავკასიის კონტორა შეთანხმდნენ ბამბის მოსავლის აღების კამპანიის დაფინანსების გეგმის გადიდების საკითხზე ნედლი ბამბის ჩაბარების ახალი გეგმის დადგენასთან დაკავშირებით.

დაევალოს სახელმწიფო ბანკის ამერიკავკასიის კონტორას—უზრუნველჰყოს შემსყიდველ პუნქტებთან არსებული ანგარიშის გასწორების სალაროები საკმარისი რაოდენობის ფულის ნიშნებით.

9. მიენდოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ბამბის მოსავლის აღებისა და ბამბის დამზადების ამერიკავკასიის კომისიას გამოარკვიოს პირველსავე სხდომაზე ა/კსფსრ ფარგლებში 40 ვაგონი ხეტყის მასალის გამოძებნის შესაძლებლობა საბჭოთა მეურნეობებში ბამბის ფარფლულების მშენებლობის საჭიროებისათვის.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ო რ ა ხ ე ლ ა შ ვ ი ლ ი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შ ა ვ ე რ დ ო ვ ი.**

1931 წ. ოქტომბრის 11.

№ 407.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 283 №-ში 1931 წ. ოქტომბრის 14-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

226. საკოლმეურნეო სისტემის ხილეულ-ბოსტნეულის ვაჭრობის გაშლის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მიზანშეწონილად იქნეს ცნობილი, რათა ა/კსფსრ საკოლმეურნეო სისტემამ ფართოდ გაშალოს ხილეულ-ბოსტნეულის ვაჭრობა კოლექტიური მეურნეობების პროდუქციის ზედმეტი თავისუფალი საქონლის რეალიზაციის საფუძველზე.

2. დამტკიცებულ იქნეს საორიენტირო ქსელი ა/კსფსრ-ში სასეზონო ხილეულ-ბოსტნეული ფარდულებისა—500 და მუდმივი ხილეულ-ბოსტნეული კომერციული მაღაზიებისა—8, ისეთი ვარაუდით, რომ ა/წ. ოქტომბრის 15-დე გახსნილ იქნეს 50%-ი.

3. დაავალოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატსა და ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრს—დაუყოვნებლივ მისცენ სათანადო ორგანიზაციებს პრაქტიკული მინიშნებანი ქსელის გაშლისა და ვაჭრობის მოწყობის შესახებ.

4. დაწესებულ იქნეს კოლექტიური მეურნეობების ცალობითს წერტილებში ხილეულისა და ბოსტნეულის მტკიცე ფასები ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატის კალკულაციის მიხედვით, ხოლო ისეთი პირობით, რომ კოლექტიური მეურნეობები თავიანთ მაღაზიებში ვაჭრობდენ იმავე ფასად, რა ფასადაც ვაჭრობენ უწყებული ადგილის კოოპერაცია და სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციები.

5. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს:

ა) იხმარონ ღონისძიება, რათა დაუყოვნებლივ გაშლილ იქნეს ხილეულ-ბოსტნეულის ვაჭრობა ხილეულ-ბოსტნეულის საკოლმეურნეო სისტემის მეშვეობით, რისთვისაც ვაჭრობის პუნქტები მოწყობილ უნდა იქნეს მუშათა რაიონებსა და ქალაქის ბაზრებში, აგრეთვე რკინის გზის სადგურებზე და ნავთსადგურებზე;

ბ) დაავალონ საქალაქო საბჭოებსა და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს უზრუნველჰყონ 3 დღის ვადაზე ხილეულ-ბოსტნეულის საკოლმეურნეო სისტემა სადგომებით, მაღაზიებით და ფარდულებით—ცენტრალურ ადგილებში—ვაჭრობის გასაშლელად; იქ, სადაც ტეხნიკურად შეუძლებელი იქნება სადგომების გამოყენება ვაჭრობა სწარმოებდეს უბრალო ფარდულებში.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1931 წ. ოქტომბრის 12.

№ 408.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 283 №-ში 1931 წ. ოქტომბრის 14-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კსუსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

227. ნედლი ბამბის მიღებისა და გადამუშავებისათვის შემსყიდველი პუნქტების და ბამბა-საწმენდი ქარხნების განმზადების შესახებ.

მოისმინა-რა ამიერკავკასიის მებამბეობის ტრესტის მმართველის მოადგილის ამხ. თურქიას მოხსენება და ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა იმპექციის წარმომადგენელის თანამოხსენება—ნედლი ბამბის მიღებისა და გადამუშავებისათვის შემსყიდველი პუნქტებისა და ბამბა-საწმენდი ქარხნების განმზადებისა და პახტასარაიების მშენებლობის მდგომარეობის შესახებ, აღსრულების შემმოწმებელი კომისია აღნიშნავს, რომ შემსყიდველი პუნქტებისა და ბამბა-საწმენდი ქარხნების განმზადებისათვის მიღებული ტემპები არ იძლევა იმის გარანტიას, რომ შემოსული ნედლი ბამბა თავის დროზე და სრულად მიღებული, შენახული და გადამუშავებული იქნება, განსაკუთრებით ბამბის პარკების მასსურ გახსნასთან დაკავშირებით.

ა/კ. მებამბეობის შენაერთის სამშენებლო ტრესტის არაგეგმიანი მუშაობისა, მისი აპარატის მოუგვარებლობისა, განსაკუთრებით ადგილობრივ სამშენებლო კონტორებში, და აგრეთვე ადგილობრივი საშენი მასალის მობილიზაციისათვის საჭირო ღონისძიებათა მიუღებლობისა და ამ საქმის უუნარო მანევრირების გამო ა/კ. მებამბეობის შენაერთის სამშენებლო ტრესტის მუშაობა არაუზრუნველყოფდა და ახლაც არაუზრუნველჰყოფს ბამბის მიღებისა და შენახვის ორგანიზაციის შესახებ პარტიული და საბჭოთა ორგანოების მიერ გაცემული დირექტივაების დაუცადებელ შესრულებას.

პახტა-სარაიების მშენებლობა ბრკოლდება აგრეთვე იმის გამო, რომ ცენტრალურმა ორგანიზაციებმა (ა/კ. მებამბეობის შენაერთის სამომპარაგებელო ტრესტმა) არ გასცეს საჭირო საშენი მასალა. ლიაკისა და სარდარაბადის ბამბა-საწმენდი ქარხნები აქამდე აუმუშავებელია. სხვა ბამბა-საწმენდი ქარხნების რემონტის მდგომარეობა და ჰაპანიდვის ტრანსპორტის სარემონტო სახელოსნოების ორგანიზაცია ამ ჟამად გარანტიას არ წარმოადგენს, რომ ნედლი ბამბა თავის დროზე იქნება მიღებული, სათანადოდ შენახული და დაუცადებლად გადამუშავებული.

ამიერკავკასიის რკინის გზების დირექცია, არაერთხელ მიცემული დირექტივების მიუხედავად, როდი უზრუნველჰოფს თავის დროზე და დაუცადებლად ვაგონების მიცემას როგორც ნედლი ბამბისა, ისე ბოგკოს გადასაზიდად, რის გამოც რკინის გზის სადგურებზე ბამბა მთელის ხნობით გროვდება (გორადიზისა, მოლლაკენდისა, ზუბოვკას და სხვა სადგურებზე).

აღინიშნოს, რომ ა/კსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველო აქამდე არ შესდგომია მისავალი გზების გაყვანას და აღჯაბედსა და ნაჯაფ-ყული-ბეგლარ. შუა გზის აშენებას, იმისდამიუხედავად, რომ საამისოდ მას ვადად მიცემული ჰქონდა სექტემბრის 25.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო სამდინარეო ფლოტის სამმართველო, მთელ რიგ მინიშნებათა მიუხედავად, მაინც როდი უბრუნველჰყოფს აქამდე ტვირთის თავის დროზე გადაზიდვას წყალსავალი გზებით ქარხნებამდე და შემსყიდველ პუნქტებამდე.

აღინიშნოს, რომ ამიერკავკასიის მებამბეობის შენაერთი და ა/კ. მებამბეობის შენაერთის სამომმარაგებლო ტრესტი, აგრეთვე რესპუბლიკანური მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატები, საკოლმეურნეო ცენტრები, ადგილობრივი სარაიონო პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები არა ხმაობენ გადამწყვეტ ღონისძიებას რესპუბლიკანურ და სარაიონო ორგანიზაციებს შორის და ადგილობრივ მოსახლეობაში თავისუფალი ტარა-ტომრებისა, ბრეზენტებისა, სასწვრებისა და სხვა მისთ. მობილიზაციისათვის ბამბის მოკრეფისა და შენახვის უზრუნველსაყოფად.

რადგანაც ბამბის მიღებისა, შენახვისა და გადამუშავების შექმნილი მდგომარეობა საფრთხეს უქადის ამ საქმეს და საჭიროებს ამიერკავკასიისა, რესპუბლიკანური და სარაიონო ორგანიზაციების მუშაობის გადაქრით გარდაქმნას, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ბამბის მოკრეფის გეგმა ოქტომბერში გადიდებულია ბამბის პარკის მასსური გახსნის გამო, აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. დაეკალოს ამიერკავკასიის მებამბეობის შენაერთს წარუდგინოს ორი დღის ვადაზე ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს, ბამბის მოწვევის ტემპებით გამოწვეული შეცვლილი პირობების შესაბამისად, გადამუშავებული გეგმა ბამბის ტრანსპორტირებისა, მიღებისა და შენახვისა.

2. წინადადება მიეცეს ა/კ. მებამბეობის შენაერთის სამშენებლო ტრესტს—იმმაროს გადამწყვეტი ღონისძიება პახტა-სარაიების დაჩქარებით მშენებლობისათვის ისეთი ვარაუდით, რომ იგი საერთოდ დამთავრებულ იქნეს არა უგვიანეს ოქტომბრის 20-სა; ამასთანავე, პირველ რიგში მშენებლობა დამთავრებულ უნდა იქნეს ძირითად საბამბე რაიონებში.

ამავე დროს წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის მებამბეობის შენაერთს ფართოდ გამოიყენოს ნედლეული ბამბის ფარდულებში ხვეულად შენახვის ხერხი და სხვა ორგანიზაციების სასაწყობო საცავები ბამბის დროებით შესანახად.

3. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის მებამბეობის შენაერთს და აგრეთვე ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—განაბორციელონ სათანადო ღონისძიებანი პახტა-სარაიების ასაშენებლად შინაგანი, საშენი მასალების და მუშა-ხელის მობილიზაციისათვის; იმმაროონ ყოველი ღონისძიება—დაუყოვნებლივ შემსყიდველ პუნქტებში მოაგროვონშემომუშავეთა საჭირო რიცხვის მისავლინებლად; მოახდინონ ერთი დეკადის ვადაზე რესპუბლიკანურ ორგანიზაციებსა, კოლექტიურ მეურნეობებსა და ინდივიდუალურ გლეხ-მეურნეთა შორის ბარდანებისა, ტარა-ტომრებისა, ბრეზენტებისა, სასწვრებისა და სხვა მისთ. მობილიზაცია; ამასთან ერთად მოახდინონ რესპუბლიკანურ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში არა ნაკლებ 100 კომპლექტი სასწვრის მობილიზაცია ამიერკავკასიის მებამბეობის შენაერთის გამგებლობაში გადასაცემად.

4. წინადადება მიეცეს ამერიკაკავასიის მებამბეობის შენაერთს და ა/კ. მებამბეობის ტრესტს დაეჩქარონ ცენტრიდან მოცემული სატომრე ქსოვილის მიღება, რისთვისაც თვალსაური ადეგენონ ამ ქსოვილის რკინის გზით მოძრაობას; უზრუნველჰყონ ბარდანების ოთხჯერადი ბრუნვა ყველა ბამბის ქარხანაში, აგრეთვე ბარდანების დაკერება და ბამბის ქარხნების დაუცადებელი ოთხცვლადი მუშაობა; იხმარონ ღონისძიება ლიაკის და სარდარაბადის ქარხნების დაუყოვნებელი აშუშავებისათვის და განჯის ქარხნის სრული დატვირთვით მუშაობისათვის.

5. წინადადება მიეცეს ა/კ. მებამბეობის ტრესტს, ამბ. ოვანესიანის პირადი პასუხისმგებლობით, დაამთავროს ოქტომბრის 15-თვის ბამბის ქარხნებთან და შემსყიდველ პუნქტებთან სახელოსნოების მოწყობა ჯაპანზიდვის ტრანსპორტის რემონტისათვის.

ა/კსფარ მომარაგების სახალხო კომისარიატმა, ამხ. პეკოვის პირადი პასუხისმგებლობით, დაუყოვნებლივ უზრუნველჰყოს ამ სახელოსნოებისათვის საჭირო რაოდენობის მასალის გამოყოფა.

6. დაევალოს ა/კ. რკინის გზების დირექციას—უზრუნველჰყოს თავის დროზე ვაგონების მიცემა როგორც ნედლი ბამბის შემსყიდველ პუნქტებამდე და ქარხნებამდე მიზიდვისა, ისე ბოჭკოს გადაზიდვისათვის; დაუყოვნებლივ მოაგვაროს მთელი რიგი სადგურების დაგროვილი ტვირთისაგან განტვირთვა; ერთი დღედაღამის განმავლობაში გამოჰყოს სპეციალურად პასუხისმგებელი პირნი ბამბის გადასაზიდად საჭირო მძრავი შედგენილობის დაუცადებლად მიჩენისათვის.

7. დაევალოს ამერიკაკავასიის სამდინარეო ფლოტის სამმართველოს, ამხ. გაბისკირიას პირადი პასუხისმგებლობით, უზრუნველჰყოს მდინ. მტკვარზე საჭირო რაოდენობის ტონნაჟი ბამბისა და ბამბის დამზადების კომპანიასთან დაკავშირებული სხვადასხვა ტვირთის დაუცადებლად და თავის დროზე გადაზიდვისათვის; განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ნაჯაფ-ყული-ბეგლი—ეკალახის ქარხნის უბანს.

ხუთი დღის ვადაზე შემოწმებულ იქნეს მდინ. მტკვარზე ტვირთის მიღებისა და შენახვის ადგილებში ნავთსაყუდებისა და მისადგომების რემონტის უზრუნველყოფა და შენების მსვლელობა.

8. დაევალოს ა/კ. სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირს და ა/კ. საზოგადოებრივი კვების ტრესტს—შეამოწმონ 5 დღის ვადაზე, მიღწეულია თუ არა ფაქტიურად რაიონებში ბამბის ქარხნებამდე და შემსყიდველ პუნქტებამდე სამრეწველო და სასურსათო საქონელი და მიმარაგებულ არიან თუ არა ბამბის ქარხნებისა და შემსყიდველი პუნქტების მომუშავენი საზოგადოებრივი კვების უახლოეს წერტილებზე.

9. დაევალოს რესპუბლიკანურ და სარაიონო მუშათა და გლეხთა ინსპექციებს—გაუწიონ ყოველგვარი დახმარება რესპუბლიკებსა და რაიონებში ბამბის მოსავლის აღების კომპანიისათვის ტარა-ტომრებისა, სასწერებისა და ბრეზენტების მობილიზაციის საქმეს და სასტიკ პასუხისგებაში აძღიონ ის პირნი, რომელნიც არ შეასრულებენ აღნიშნული ინვენტარის მობილიზაციის შესახებ არსებულ დადგენილებებს.

10. ბამბის მოსავლის აღების კამპანიის ჩატარებისათვის საყოველდღეო მეთვალყურეობისა და ხელმძღვანელობის გაწევის მიზნით ეთხოვოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მოაწყოს თავისთან ბამბის მოსავლის აღების კომისია.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
მდივნის მოვალ. აღმს. **გ. კასრაძე.**

1931 წ. ოქტომბრის 9.
№ 28.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 282 №-ში 1931 წ. ოქტომბრის 13-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

228. საპნის-ხარშვის 1931 წ. პროგრამისა და საპნის-ხარშვის მრეწველობის ნედლეულით უზრუნველყოფის ღონისძიებათა თაობაზე გამოცემული სსრკ-ის შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1931 წ. მაისის 17-ის დადგენილების აღსრულების შესახებ.

მოისმინა-რა ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისრის მოადგილის ამხ. პეტროვის მოხსენება—საპნის-ხარშვის 1931 წ. პროგრამისა და საპნის-ხარშვის მრეწველობის ნედლეულით უზრუნველყოფის შესახებ, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. აღინიშნოს, რომ ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატის საპნის-ხარშვის მრეწველობამ, „ზაკრასმასლოტრესტი"-ს სახით, 1931 წ. რვა თვეში (იანვარი-აგვისტო), კაუსტიური და კალცინირებული სოდის არანორმალურად მიღების გამო, გამოუშვა მზა-პროდუქცია სულ 4.474 ტონნა, რაც შეადგენს წლიური გეგმის (9.000 ტონნა) 49,7-%-ს.

2. საუტილო ცხიმების დამზადებაში ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა, „ზაკუტილმ"-ი და სარეწაო კავშირმა არ შეასრულეს სსრკ-ის შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1931 წ. მაისის 17-ის თარიღისა და 199 №-ის დადგენილება და აქამდე არ ამუშავეს არც ერთი საუტილო დანადგარი.

3. საპნის-ხარშვის მიმდინარე წლის გაფართოებული პროგრამის—1.060 ტონნა—შესასრულებლად საჭიროა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) ეთხოვოს სსრკ-ის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს—მოახდინოს განკარგულება „ვსეხიმპრომ"-ის მიმართ, რათა „ზაკრასმასლოტრესტ"-ის საპნის ქარხნებისათვის სასწრაფოდ გამოგზავნილ იქნეს კაუსტიური და კალცინირებული სოდა, რაც მათ ერგებათ ა/წ. მე-IV კვარტლის განწესებით—კაუსტიური სოდა 259 ტონნას რაოდენობით და კალცინირებული სოდა 179 ტონნას რაოდენობით;

ბ) ეთხოვოს სსრკ-ის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს—მოახდინოს გაელენა ქარხნების „ტრანსმისია"-ს და „ბორეც"-ის მმართველობაზე—მოსკოვში და აგრეთვე „სარატმეტალტრესტ"-ზე—სარატოვში, რათა მათ აუცილებლად შეასრულონ მიმდინარე წლის მე-IV კვარტალში „ზაკრასმასლოტრესტ"-ის შეკვეთები მომქმედი საპნის ქარხნების გაფართოებისათვის საჭირო გაწყობილობის დამზადების შესახებ; ამასთანავე, ქარხანა „ტრანსმისია"-ს დაემატოს კიდევ ერთი სამაცივრო მწნეხი როსტას სისტემისა 70 კამერიანი;

გ) წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, „ზაკუტილ"-ს და სარეწაო კავშირს—სარეწაო კოოპერაციის ხაზით—იხმარონ ერთი თვის განმავლობაში ენერგიული ღონისძიებანი, რათა დაუყოვნებლივ ამუშავებულ იქნეს განზრახული უტილ-დანადგამები—ა/კსფსრ საპნის-ხარშვის მრეწველობის უტილ-ცხიმებით მოსამარაგებლად;

დ) წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს უზრუნველჰყოს 1931 წ. მეოთხე კვარტალში ზემოაღნიშნული ორგანიზაციების უტილ-დანადგამები საჭირო სათბობი მასალით;

ე) წინადადება მიეცეს „ზაკრასმასლოტრესტ"-ს განავითაროს მე-IV კვარტალში მაქსიმალური ენერგია საპნის-ხარშვის გაფართოებული პროგრამის—5.200 ტონნას რაოდენობით—შესასრულებლად, „სოიუზტრანსმასლო"-ს დირექტივის თანახმად;

ვ) წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს კადრების გამგეობას—გადაგზავნოს უკანვე „ზაკრასმასლოტრესტ"-ის ქარხნებში სამუშაოდ მრეწველობის ამ დარგის ყველა ყოფილი მომუშავე.

4. ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციამ, ერთი თვის გასვლისას, უნდა შეამოწმოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა, „ზაკუტილი"-სა და სარეწაო კავშირის მიერ შესრულებული მუშაობა უტილ-დანადგამების განმზადებისა და ამუშავებისათვის.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
მდივნის მოვალ. აღმსრ. **გ. კასრაძე.**

1931 წ. ოქტომბრის 9.
№ 29.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

229 სავეტერინარო საქმისა და ეპიზოოტიებთან ბრძოლის მდგომარეობის შესახებ.

მოისმინა-რა ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისრის ამხ. ვეზიროვის მოხსენება „სავეტერინარო საქმისა და ეპიზოოტიებთან ბრძოლის მდგომარეობის შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. ივლისის 11-ს დადგენილების აღსრულების თაობაზე, ა/კსფსრ სახალხო კომისართა სბ-სთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია აღნიშნავს, რომ ამიერკავკასიისა, რესპუბლიკანური და სარაიონო ორგანიზაციები, და პირველ რიგში საადგილმამფოო ორგანოები, ჯერ კიდევ არ აქცევენ სერიოზულ ყურადღებას სავეტერინარო საქმეს და სასოფლო-სამეურნეო ცხოველების დაცვას სხვადასხვა დაავადებისა და ეპიზოოტიისაგან,

ა/კ. რკინის გზების დირექციამ, “სკოტოვოდ“-ისა, „ოვცეკოდ-“ისა და „სვინოვოდ-“ის ამიერკავკასიის კონტორებმა და სხვ. სავსებით არაუზრუნველჰყვეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა სბ-ბჭოს მიერ „სავეტერინარო საქმის შესახებ“ გამოცემული დადგენილების აღსრულება.

ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სავეტერინარო სექტორის ხელმძღვანელმა ამხ. ბარამიძემ არასაკმარისად უზრუნველჰყო მეთვალყურეობისა და კონტროლის გაწევა სათანადო ორგანიზაციების მიერ „სავეტერინარო საქმის შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების შესრულებისათვის, რასაც შედეგად მოჰყვა ამ დადგენილების არამთლად შესრულება „სოიუზმიაო“-ს ამიერკავკასიის კონტორისა, „ვეტა“-ს, რესპუბლიკანური მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებისა, საკოლმეურნეო-საკოოპერაციო სისტემისა და სხვა ორგანიზაციების მხრით.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია, აღნიშნავს-რა, რომ „სავეტერინარო საქმისა და ეპიზოოტიებთან ბრძოლის მდგომარეობის შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება სრულიად არადამაკმაყოფილებლად არის შესრულებული, ადგენს:

1. დაევალოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარს ამხ. ვეზიროვს, მიწათმოქმედების სახალხო კომისრებს: აზერბაიჯანის სსრ-ისა—ამხ. ყაზუმოვს, საქართველოს სსრ-ისა—ამხ. მთიკაქშვილს და სომხეთის სსრ-ს—ამხ. გულოიანს—უზრუნველჰყონ სავსებით სავეტერინარო საქმეზე გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების აღსრულება და აცნობონონ ეს აღსრულება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ აღსრულების შემმოწმებელ კომისიას ა/წ. დეკემბრის 1-ს.

2. წინადადება მიეცეს ამხ. ვეზიროვს—გამოარკვიოს ორი დეკადის ვადაზე ამიერკავკასიის სათანადო ორგანიზაციების აპარატში ყველა ის, ვინც დამნაშა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეა საეტერინარო საქმეზე გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების დროზე აღუსრულებლობაში და მისცეს ისინი პასუხისგებაში.

3. მოიხსნას მუშაობიდან „სკოტოვოდ"ის ვეტერინარი-ექიმი ამხ. ვართანიანი და გამოეცხადოს საყვედური „სკოტოვოდ"ის ამიერკავკასიის კონტორის ყოფილ მმართველს ამხ. რუდაკოვს—„სკოტოვოდ"-ის საბჭოთა მეურნეობაში საეტერინარო საქმის გასაუმჯობესებლად თავის დროზე გადამწყვეტ ღონისძიებათა მიუღებლობისათვის.

4. დაევალოს ა/კ. რკინის გზების დირექციას—მოახსენოს არა უგვიანეს ა/წ. დეკემბრის 1-სა ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ აღსრულების შემმოწმებელ კომისიას ა/კ. რკინის გზების ხაზით ყველა მიღებული ღონისძიება, რაც გათვალისწინებულია ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. ივლისის 11 დადგენილებით.

5. დაევალოს აზერბაიჯანის სსრ-ისა, სომხეთის სსრ-ისა და საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოებთან არსებულ აღსრულების შემმოწმებელ კომისიებს მოისმინონ ერთი თვის ვადაზე რესპუბლიკანური ორგანიზაციების მოხსენებები საეტერინარო საქმეზე გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების აღსრულების შესახებ.

6. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—გააფორმონ ერთი დეკადის ვადაზე რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებთან საეეტერინარო სექტორის მოწყობა.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
მდივნის მოვალ. აღმსრ. **გ. კახრაძე.**

1931 წ. ოქტომბრის 9.
№ 30.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 299 №-ში 1931 წ. ოქტომბრის 30-ს.

მთავლიტი 93. საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა ტირაჟი 1.400.